თბილისის “დინამოს” მეთოთხმეტე გამარჯვება

გუშინ, 20 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ”დინამოსა” და მოსკოვის “კრილია სოვეტოვ”–ის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა მიმდინარეობდა ცოცხალი და დაძაბული ტემპით. მე–3 წუთზე თბილისელი ა. ღოღობერიძე ოსტატურად გაუსხლტა მოწინააღმდეგეს, მოატყუა ორი მოსკოველი მცველი და შემდეგ ბურთი გადასცა გ. ანთაძეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს ანგარიში თამაშის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

ამრიგად, მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0. ეს თბილისის “დინამოს” მეთოთხმეტე გამარჯვებაა.

21 სექტემბერი, 1946 წ.